ზაარლანდის (გერმანია) უნივერსიტეტის საზაფხულო აკადემია – „Europaicum“ თსუ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის

ზაარლანდის უნივერსიტეტი აცხადებს საბუთების მიღებას საზაფხულო აკადემიაში მონაწილეობის მისაღებად. პროექტი სახელწოდებით „Europaicum“ ხორციელდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარტნიორობის ფარგლებში და მოიცავს ევროპის ინტეგრაციის თემატიკას (ევროპის ენები, სამართალი, ეკონომიკა, ისტორია, პოლიტიკა, კულტურა). საზაფხულო აკადემია გაიმართება 2011 წლის 8–26 აგვისტოს ზაარლანდის უნივერსიტეტში.

პროგრამა შედგება სამი მოდულისგან.

- მოდული 1: Europäische Integration (9 – 12 აგვისტო, 2011)
- მოდული 2: Institutional and ethical perspectives on Europe's international agency (15- 19 აგვისტო, 2011)
- მოდული 3: „Was verbindet uns in Europa? Europäische Werte – europäische Identität“ (23 – 26 აგვისტო, 2011)

პროგრამა ითვალისწინებს სემინარებში აქტიურ მონაწილეობას, პრეზენტაციებისა და დისკუსიების გამართვას, საერთაშორისო ორგანიზაციების მონახულებას (მაგ.: ევროპის პარლამენტი). პროგრამის დასრულების შემდეგ მონაწილეები მიიღებენ სერთიფიკატებს (წარმატებით დასრულების შემდეგ – 3 კრედიტს თითოეულ მოდულში).

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს შემდეგი სასწავლო მიმართულებებიდან:

- სამართალმცოდნეობა
- ეკონომიკა
- პოლიტიკური მეცნიერებები
- საერთაშორისო ურთიერთობები
- ისტორია
- გერმანისტიკა

საჭირო საბუთები

- CV
- სამოტივაციო წერილი (1 გვერდი)
- სადოქტორო/სამაგისტრო თემის მოკლე აღწერა (Promotionsvorhaben)
- გერმანული ენის დამადასტურებელი სერთიფიკატი
- ამონაწერი სასწავლო ბარათიდან

საბუთების შერჩევისას უპირატესობა მიენიჭებათ ევროპის (ინტეგრაციის) საკითხებით დაინტერესებულ აპლიკანტებს.

პროგრამის ფარგლებში ზაარლანდის უნივერსიტეტი საქართველოდან მხოლოდ 2 სტუდენტს მიიღებს. მიმღები უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მონაწილეთა დაბინავებასა და მათი ცხოვრების ხარჯების ანაზღაურებას. ასევე გაიცემა სტიპენდია (250 ევრო).

საბუთების შემოტანის ვადა: 2011 წლის 27 მაისი, 16:00 საათი.
მისამართი: თსუ II კორპუსი, ოთახი #237, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ნანა შეითნიშვილს.

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.25 02 12
თბილისი, 17.05.2011